



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №189

2016 წლის 31 აგვისტო

ქ. მცხეთა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხათგვერდში მდებარე, მოქალაქე რამაზ წივწივამის (პირადი №01007002441) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ №72.12.04.365.) დამისამართების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლის პირველი ნაწილის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 აგვისტოს №11 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „დამისამართების კონცეფციის“, „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხათგვერდის დამისამართებისა და მოქალაქეების - დავით ხაჟომიას, მავა ხაჩიძის, ნათელა ნოზაძისა და ნანა ჯანჯღავას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისათვის მისამართის მინიჭების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 მაისის №66 განკარგულებისა და მოქალაქე რამაზ წივწივამის (პირადი №01007002441) პირადი განცხადების (№394. 23.08.16წ.) საფუძველზე,

1. მოქალაქე რამაზ წივწივამის (პირადი №01007002441) საკუთრებაში არსებულ, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხათგვერდში მდებარე უძრავ ქონებას (ს/კ №72.12.04.365.) მიენიჭოს საფოსტო მისამართი:

მცხეთა, სოფელი მუხათგვერდი, ქუჩა №4, სახლი №20.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს:

- 2.1. სერვისების განვითარების სააგენტოს მცხეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს;
- 2.2. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს;
- 2.3. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
- 2.4. მოქალაქე რამაზ წივწივამეს (პირადი №01007002441).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17.

